პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ოქტომბერი პარასკევი 1971 წელი 2 ფასი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 232 (15142)

ხუთწლედი — ვადამდე!

საოქტომბრო შეჯიბრება

გეგმა — ყველა მაჩვენებლით

ერთიანი ბიულეტენი

თბილისი. (საკ. კორ.). მაუდ-კამვოლის კომბინატის (დირექტორი მ. ბაბუნაშვილი) კოლექტივმა, რომელმაც გულდასმით განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი შეჯიბრების ქმედითობისა და მასობრიობისათვის, წარმატებას მიაღწია. პროდუქციის რეალიზაციის 9 თვის დავალება 101,9 პროცენტით გაანაღდა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 168,7 ათასი კვადრატული მეტრი მზა და ხამი ქსოვილი.

ფეიქრებმა მანქანა-დანადგარების მოცდენათა შემცირებით და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,3 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 9,4 პროცენტით. თვითღირებულების შემცირებით 100 ათასი მანეთი ეკონომია მიიღეს, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 180 ათასი მანეთი შეადგინა.

მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებით განვლილ პერიოდში დაზოგეს 41,7 ტონა სხვადასხვა ნედლეული, 386 ტონა პირობითი სანწვავი, 851 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

საწარმოს ამ წარმატებაში ხელი შეუწყო იმან, რომ აქ ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. ამჟამად 96 ძირითადი პროფესიის მუშა ამ პირობას პირნათლად ამართლებს.

ვალდებულება და პასუხისმგებლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, ჩვენი საამოლოს ყველა მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოუხმარენ სასახლო-საამურნეო მეგზურებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური შრომისადმი ბრძოლის ამოცანების წარმატებით შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე შეჯიბრება მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, სოციალისტური ეკონომიკის, სოციალისტური კოლექტივიზმის ფორმირების მძლავრი საშუალება იყო და არის. „სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე, — წარმოშვა კაცობრიობის ისტორიაში არნახული მასობრივი შრომითი ენთუზიაზმის ისეთი გამოვლინებანი, რომლებიც არის სტახანოვური მოძრაობა, მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის და სხვ. განვლილმა ხუთწლედმა ამ მხრივ ბევრი რამ მოგვცა ახალი. შრომითს შეჯიბრებას ეშმარიტად საყოველთაო სახალხო განვება მიეცა“.

ამ უკანასკნელ წლებში სოციალისტურმა შეჯიბრებამ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო მასშტაბი მოიცვა, საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის ზრდის ცხოველმყოფელი წყარო, ჩვენი გეგმების შესრულების ეფექტიანი მეთოდი გახდა. ეს მაორგანიზებელი, შთამაგონებელი ძალა შეჯიბრებისა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამ დადგენილებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შეჯიბრების დემოკრატიული საფუძვლების განვითარებას, სოციალისტური ვალდებულებების შემუშავებაში, მათი შესრულების შემოწმებისა და შედეგების შეჯამებაში უფართოესი მასების ჩაბმას, შეჯიბრების საჯაროობას, წამახალისებელი ღონისძიებების, მორალური სტიმულირების ფართოდ გამოყენებას.

ნოვატორობის, გაბედული ძიების სულისკვეთებით არის გამსჭვალული ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. მაღალი ორგანიზებულობითა და მიზანდასახულობით წარმართავენ ისინი თავიანთ ღონისძიებებს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობს, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარების მდიდარი გამოცდილება აქვთ შეძენილი. პარტიული ორგანიზაციები არა მარტო იჩენენ პატრიოტულ თაოსნობას, არამედ ყოველდღიურად მონაწილეობენ, ხელმძღვანელობენ და წარმართავენ მასების აქტივობას ამ დარგში.

სოციალისტური შეჯიბრების — ამ მასობრივი პატრიოტული მოძრაობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა პარტიულ-ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის უნარიანად დაყენება. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც აწყობენ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელთა გამოსვლებს მშრომელთა კოლექტივების წინაშე შეჯიბრების ფართოდ გაშლის, ახალი პატრიოტული ვალდებულებების აღების საკითხებზე.

ამ დღეებში ვანში, ბალსა და მარნეულში ჩატარდა რაიონული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები. გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა ამ კრებებზე მიღებული მშრომელთა. ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას, პროდუქციის წარმოების გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ყველა ეს ვალდებულება კონკრეტულია, იგი შემუშავდა მშრომელი მასების ფართო და აქტიური მონაწილეობით, გათვალისწინებულ იქნა ყველა შესაძლებლობა და რეზერვი, ტექნიკის სიახლე, მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება.

როგორც ავღნიშნეთ, სოციალისტური ვალდებულებები უკვე გამოქვეყნდა. ახლა მათ ფართოდ განიხილავენ საქართველოს ყველა რაიონში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ისინი ერთხელ კიდევ ამოწმებენ, ანგარიშობენ, თუ რა გზით, რა საშუალებებით შეიძლება მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლა, დიადი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება, ინიციატორებისათვის მხარის გასწორება.

ხაყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა და გადიდებული ვალდებულებების აღება მხოლოდ საქმის დასაწყისია. მთავარია ხორცი შეასხა ამ პატრიოტულ ჩანაფიქრს, გონივრულად გაანაწილო ძალები და საშუალებანი, გამონახო ყველა საჭირო რეზერვი ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

იკისრე ვალდებულება — მაშასადამე, უნდა შესრულო იგი, — ასეთია ჩვენი შრომის წმიდა კანონი. გასულმა ხუთწლედმა და მიმდინარე წლის ნაყოფიერმა ცხრა თვემ ბევრი რამ ახალი და საინტერესო შესძინა ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი საწარმოების, სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლას. სულ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა სახალხო-სამეურნეო ცნობა ქართველი მეწარმეების ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ — ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 236.000 ტონისა მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 262 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ამჟერად ენერგიულად იბრძვიან საქართველოს მევენახეები ყურძნის მაღალი მოსავლისათვის. სასიხარულოა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე უხვმა მევენახეებმა — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყურძნის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, ნაცვლად 54.000 ტონისა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 60 ათას ტონამდე ყურძენი. რთველი უკვე გაჩაღდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული მარცვლეულის, ხორცის, რძის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში.

ასეთი მძლავრი ნაბიჯებით მიიწევს წინ მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი.

— არსებული შესაძლებლობანი, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში გაშენებული ვენახები და ხეხილის ბაღები სრულ შესაძლებლობას იძლევა 1978 წელს ყურძნის წარმოების დონე რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გადიდდეს 4.000 ტონამდე, ხილისა — 2.000 ტონამდე, ამრიგად, ვადაზე ორი წლით ადრე შესრულდეს ხუთწლიანი გეგმა — ასე პირდებიან სამუშაოს ვანელი პატრიოტები.

— მეცხრე ხუთწლედში რაიონმა გეგმის მიხედვით სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 125.538 ტონა ჩაის ფოთოლი. მაგრამ მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს მიაყიდონ 148. 138 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. აქედან მანქანებით მოკრიფონ 26.430 ტონა— ასეთია ბალელთა დაპირება.

— საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ვადაზე ერთი წლით ადრე დაამზადებენ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 15.275 ტონა მარცვლეულს, 71.920 ტონა ბოსტნეულს, 3.700 ტონა კარტოფილს, 78.750 ტონა ყურძენს, 12.000 ტონა ბაღჩეულს და 27.800 ტონა ეთერზეთოვან კულტურებს, — აცხადებენ მარნეულელი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები.

ნამდვილად პატრიოტული ვალდებულებებია, საჭიროა ამოვთვალოთ. ამ შემოდგომადანვე ვიზრუნოთ მათი განხორციელებისათვის, დავრაზმოთ მთელი ძალები, ყველა შესაძლებლობა გამოვიყენოთ ნაკისრ ვალდებულებათა უსოდოდ განადღებისათვის.

ამედია, რომ ვანის, ბალისა და მარნეულის რაიონების სოფლის მშრომელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას მხარს დაუჭერენ საქართველოს სხვა რაიონებშიც.

პირველადმა პატიოტულმა ორგანიზაციებმა, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, უნდა გაუმჯობესონ სოციალისტურ ვალდებულებათა შემუშავებისა და მიღების პრაქტიკა. კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებანი უნდა ჩამოყალიბდეს ამ მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, რომლებიც საწარმოებისა და დარგების წინაშეა დასახული წარმოების განვითარების მოცემული საგეგმო პერიოდისათვის და შეიცავენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალურ ვალდებულებებსა და წინადადებებს, გამოხატავენ მათს ინიციატივასა და გამოცდილებას, აღუძრავენ მშრომელებს შემოქმედების, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უკეთ გამოყენების სურვილს.

შეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის — მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის ნამდვილად შემოქმედებითი სულისკვეთების შექმნას.

საქართველოს — მშრომელები, ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად, თავდადებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული დიადი გეგმების განხორციელებისათვის. ამ გეგმების შესრულება დამოკიდებულია თვითეული ჩვენგანის შრომაზე, ჩვენს ორგანიზებულობასა და დისციპლინაზე, საქმის წარმართვის უნარსა და სიბეჯითეზე.

დავრაზმოთ მასები დასახული ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად, კიდევ უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ მთელი ხალხი კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების შესასრულებლად, დავაწესოთ საზოგადოებრივი კონტროლი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი, სრულად გამოვიყენოთ მატერიალური და მორალური სტიმულირების ნაკადი სისტემა, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ დიადი ხუთწლედის ვადამდე შესრულებას — ასეთია ჩვენი სადღეისო ამოცანა.

თორმეტი დღით ადრე

ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, ღირსეულად ხვდება დიდი ოქტომბრის დღესასწაულს.

ჩვენ 12 დღით ადრე შევასრულეთ მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ცხრა თვის გეგმა, ოქტომბრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გავუგზავნეთ რამდენიმე ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

სოციალისტური შეჯიბრების სათავეში არიან ა. ბარბაქაძის, აკაკი და ბიძინა ენენაშვილების უბნის კოლექტივები, პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გ. გაფრინდაშვილი უძღვება. 16 კომპლექსური ბრიგადა და ასამდე მაღაროელი წარმატებით ასრულებს ხუთი დღის ნორმას ოთხ დღეში.

ორჯონიკიძელები ახალ შრომით საჩუქრებს ვუმზადებთ ოქტომბრის დღესასწაულს.

შ. ჩაჩანიძე,
ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პროფკავშირის კომიტეტის მდივანი.

მაღაროს კოლექტივის თავდადებულ შრომაში თავისანი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა კომუნისტებს, გვიროგბგამეკვანეებს, ძმებს აკაკი და ნუდარ ცერცვაძეებს. ცვლის დავალებას ისინი შუდამ 150 პროცენტით ასრულებენ. აკაკი მე-7 საწარმოო უბნის კომკავშირელების წინამძღოლია, ნოდარი კი მაღაროთასამართველოს კომკავშირული „პროჟექტორის“ წევრი.

სურათზე: ძმები აკაკი და ნუდარ ცერცვაძეები.

ფოტო ა. მაჰაბარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ბრძანებულებით ცვლილება შეიტანა დიებულებაში საქართველოს სსრ სახელმწიფოო ალმის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 თებერვლის ბრძანებულებით.

ამ დებულებით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი აღიმართება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციის, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოს შენობებზე 25 თებერვალს, 22 აპრილს, 1 და 2 მაისს, 7 და 8 ნოემბერს და 5 დეკემბერს. ნებადართულია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი აღნიშნულ შენობებზე, ამრეთვე საკრებულო სახლებზე აღიმართოს სხვა დღესასწაულებისა და ზეიმების დღეებშიც“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 4 ივნისტოს ბრძანებულებით საკავშირო დებულებაში შეტანილია ცვლილება, რომელიც ამით გამოიხატება, რომ სხვა დღესასწაულებს, როგორ სახელმწიფო ალამი აღიმართოს, დაემატა 8 მარტი და 9 მაისი. ამ ბრძანებულების შესაბამისად ანალოგიური ცვლილებაა შეტანილი მოკავშირე რესპუბლიკების დებულებებშიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თვის 1971 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით შესაბამისი ცვლილება შეიტანა საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულებაში, რომელიც ამით გამოიხატა, რომ სხვა დღესასწაულებთან ერთად სახელმწიფო ალამი აღიმართება ყოველ 8 მარტს და 9 მაისს.

(საქდესი).

ა. ნ. კოსიგინი ალჟირში

ანაბა, 6 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ანაბაში — ალჟირის უდიდეს სამრეწველო ცენტრსა და ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი, საბჭოთა და ალჟირელი ოფიციალური პირები. საბჭოთა და ალჟირელი სახელმწიფო მოღვაწენი მიემგზავრებიან ელ-ჰაჯარში, სადაც შენდება მეტალურგიული ქარხანა — ალჟირის ძმური მრეწველობის პირმშო. საბჭოთა კავშირი ტექნიკურ ხელშეწყობას უწევს მისი ფოლადსადნობი საამქროს მშენებლობაში.

ა. ნ. კოსიგინი და ჰ. ბუმედიენი დაწვრილებით გაეცნენ მეტალურგიულ კომპლექსს. მშენებლობაზე დასაქმებული ყველა მუშა და სპეციალისტი გულთბილად ხვდებოდა საბჭოთა მეგობრებს.

საპატიო სტუმართა წიგნში ა. ნ. კოსიგინმა ჩაწერა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ალჟირთან ეკონომიურ თანამშრომლობას. თქვენი ქარხანა არის ალჟირისა და სსრ კავშირის ამ შესანიშნავი თანამშრომლობის ერთგვარი ნაყოფი.

ქარხნის კოლექტივს მსურს ვუსურვო დიდი წარმატებანი პირველი დიდი ტექნიკურად მოწყობილი მეტალურგიული ქარხნის შექმნაში“.

დღეს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი ალჟირის დედაქალაქში დაბრუნდნენ.

საგჯოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ჰანოი, 7 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ პრეზიდენტის სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ერთობლივ განცხადებას.

განცხადებას ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლე ზუანმა.

ხელმოწერას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ო. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ს. ლ. სოროლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ა. შირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ტ. ბრეშინი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ი. ს. შჩერბაკოვი.

ვიეტნამის მხრივ დაესწრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ტონ დიკ თხანგი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ვიცეპრეზიდენტი ნგუენ ლიონგ ბანგი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჩიონგ ტინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი ვო ნგუენ ზიაპი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა. მინისტრი ნგუენ ზუი ჩინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლე თხან ნგი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხოანგ ვან ხოანი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს შეთანხმებებს საბჭოთა კავშირის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის უსასყიდლო დახმარების გაწევის, ახალი კრედიტების მიცემის, 1972-1973 წლების საქონელბრუნვის შესახებ.

ა. ნ. კოსიგინი ალჟირში

ანაბა, 6 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ანაბაში — ალჟირის უდიდეს სამრეწველო ცენტრსა და ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი, საბჭოთა და ალჟირელი ოფიციალური პირები. საბჭოთა და ალჟირელი სახელმწიფო მოღვაწენი მიემგზავრებიან ელ-ჰაჯარში, სადაც შენდება მეტალურგიული ქარხანა — ალჟირის ძმური მრეწველობის პირმშო. საბჭოთა კავშირი ტექნიკურ ხელშეწყობას უწევს მისი ფოლადსადნობი საამქროს მშენებლობაში.

ა. ნ. კოსიგინი და ჰ. ბუმედიენი დაწვრილებით გაეცნენ მეტალურგიულ კომპლექსს. მშენებლობაზე დასაქმებული ყველა მუშა და სპეციალისტი გულთბილად ხვდებოდა საბჭოთა მეგობრებს.

საპატიო სტუმართა წიგნში ა. ნ. კოსიგინმა ჩაწერა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ალჟირთან ეკონომიურ თანამშრომლობას. თქვენი ქარხანა არის ალჟირისა და სსრ კავშირის ამ შესანიშნავი თანამშრომლობის ერთგვარი ნაყოფი.

ქარხნის კოლექტივს მსურს ვუსურვო დიდი წარმატებანი პირველი დიდი ტექნიკურად მოწყობილი მეტალურგიული ქარხნის შექმნაში“.

დღეს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი ალჟირის დედაქალაქში დაბრუნდნენ.

რთველია საძართველოში

ყურძნის დამზადება

(ტონობით)

მარნეული

გეგმა	შესრულება
14.500	13.052

კახეთი

გეგმა	შესრულება
9.300	537

გარდაბანი

გეგმა	შესრულება
8.000	3.112

მცხეთა

გეგმა	შესრულება
7.500	2.358

გოლნისი

გეგმა	შესრულება
7.000	3.680

გორი

გეგმა	შესრულება
4.000	406

რთველი გრძელდება

საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს VII კონგრესის მონაწილეებსა და სტუმრებს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა მიესალმება საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს VII კონგრესის მონაწილეებსა და სტუმრებს.

მუსიკა — ადამიანთა ფართო ურთიერთობის ხელოვნებაა. მას შეუძლია ასახოს ეპოქის მოწინავე იდეები. იგი აახლოებს ყველა ერისა და კონტინენტის ადამიანებს, ხელს უწყობს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. საერთაშორისო მუსიკალური საბჭო მოწოდებულია გადაწყვიტოს სწორედ ეს ამოცანა, რომელიც შეესაბამება იუნესკოს ჰუმანურ მიზნებს.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ კონგრესის თემის მნიშვნელობა. კულტურის შემდგომი განვითარების პრობლემა ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ღრმა სოციალური ცვლილებები, რომლებიც მსოფლიოში ხდება, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა განთავისუფლება კოლონიური დამოკიდებულებისაგან, განსაკუთრებით აქტუალურს ხდიან ბრძოლას ხელოვნების ყოველმხრივი დემოკრატიზაციისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მისი გავლენის გაძლიერებისათვის, ამ დარგში ფართო ურთიერთგაცვლისათვის.

საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს VII კონგრესი უთუოდ შეუწყობს ხელს ხელოვნების პროგრესულ მოღვაწეთა კონსოლიდაციას, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ხალხთა კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების და განმტკიცების გზაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუსიკა და თანამედროვეობა

6 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს VII კონგრესი. კონგრესის მონაწილენი განიხილავენ პრობლემას: „ხალხთა მუსიკალური კულტურები: ტრადიციები და თანამედროვეობა“.

კონგრესი გახსნა საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს პრეზიდენტმა ი. მენუხინმა.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. კუხარსკიმ წაიკითხა კონგრესის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, რომელსაც შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის ეროვნული მუსიკალური კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ხრენიკოვი.

შეკრებილებმა მოისმინეს იუნესკოს გენერალური დირექტორის რ. მაიოს მისალმება.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში აეწერდა საბჭოების ქვეყნის ყველა მომძე რესპუბლიკის მელოდიები. ჩვენი საამობლოს მრავალეროვნული კულტურის წარმომადგენლებმა ხელოვნების ენით გადმოგვცეს მოძმე ხალხთა ახალი ცხოვრება, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის შესანიშნავი გმირული საქმეები.

კონგრესის პირველ პლენარულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენებანი, რომლებიც მიეძღვნა ხალხთა მუსიკალური კულტურის ტრადიციებსა და თანამედროვეობას. (საკდესი).

მაღალი ჯილდო

ძალაკ პერმს 6 ოქტომბერს გადაეცა ლენინის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოებულია სამრეწველო წარმოების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

დიდი ჯილდოს გადაცემასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა. მან დამსწრეთა ტაშის გრიალში ლენინის ორდენი მიაბნია დრუშას.

შეჯიბრება—მასების შემოქმედება

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე

აფხაზეთი

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა აფხაზეთის ასსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ.

მოხსენებით — აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის — გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. ძაძუა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ორმაჩორის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ, საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. შირიაევამ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჯინჭარაძემ, საქართველოს კპ გაგრის რაიკომის მდივანმა ა. კაპბამ, საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის მეორე მდივანმა კ. ღურჭკაიამ, საქართველოს კპ გალის რაიკომის მდივანმა ჯ. ზაქარაიამ, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ბარციცამ, სოხუმის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. სიჭინავამ, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტყეკარჩელის № 6 შახტის უფროსმა შ. ყურაშვილმა, გაგრის რაიონის სოფელ ალახადის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ხასიამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს აფხაზეთის მშრომელთა იმ, დიდ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობაზე, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. მათ ხაზი გაუსვეს აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მიღწეულ წარმატებებს. ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა იკისრეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც მრეწველობის პროდუქციის, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას ახალ ხუთწლედში.

ამასთან ერთად ორატორებმა ყურადღება გაამახვილეს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, წარმოების გამოუყენებელ რეზერვებზე, ეფექტურობის ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი შეჯიბრების უკეთ მოწყობის შესახებ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ერთსულოვნად მოწონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. მან ასევე ავალებს ავტონომიური რესპუბლიკის ორგანიზაციებს, ეფექტურად ითვალისწინებენ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ვ. ბაღათურიამ, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ტ. ჯინჭარაძემ.

მოხსენებასა და მოკამათეთა სიტყვებში აღინიშნა, რომ აფარის მშრომელებმა ვადამდე, გადაჭარბებით გაანღდეს გასული ხუთწლედის დავალებანი როგორც მრეწველობის პროდუქციის გამოშვების, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მხრივ.

აფარის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ეს დადგენილება განიხილეს სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ და საერთო კრებებზე, იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებები.

ეს ვალდებულებები ითვალისწინებენ, რომ მეცხრე ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები გამოუშვებენ ათობით მილიონი მანეთის პროდუქციას, მეჩაიეები გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდიან 16 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს, ხოლო მეციტრუსეები ხუთწლიან დავალებას სამ წელიწადში შეასრულებენ.

აქტივის კრებაზე ისიც ითქვა, რომ მშრომელთა კოლექტივებში ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩადგება სოციალისტური შეჯიბრება. წელს განვლილ 9 თვეში უკვე მიღწეულია ზოგიერთი წარმატებანი. აფარის მრეწველობის მუშაკებმა გეგმის გადამეტებით უკვე გაასაღეს ცხრა მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, ხოლო მეჩაიეებმა წლიური გეგმის გადამეტებით 3 ათასი ტონა ჩაის ხელდლეული დაამზადეს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია.

ქუთაისი

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). გაიმართა აფარის ასსრ და ბათუმის საქალაქო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც გახსნა აფარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ.

მოხსენებით— პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს კპ აფარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. უკლება.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა რ. ნიუარაძემ, პარტიის ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედის რაიკომების პირველმა მდივნებმა ა. ძნელაძემ, მ. ხოზრევანიძემ და ვ. ნაკაშიძემ, პარტიის ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანმა მ. ხარაზმა, საქართველოს საზღვარ და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. უმანკოშვილმა, ბათუმის სავაგონო დეპოს პარტბიუროს მდივანმა მ. ჯიბლაძემ, ელექტრომექანიკური ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ი. ბუსლოვიჩმა, ბემსაშენებლო ქარხნის დირექტორმა ე. მალაზონიამ, აფარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. ბაღათურიამ, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ტ. ჯინჭარაძემ.

მოხსენებასა და მოკამათეთა სიტყვებში აღინიშნა, რომ აფარის მშრომელებმა ვადამდე, გადაჭარბებით გაანღდეს გასული ხუთწლედის დავალებანი როგორც მრეწველობის პროდუქციის გამოშვების, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მხრივ.

აფარის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ეს დადგენილება განიხილეს სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ და საერთო კრებებზე, იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი.

ეს ვალდებულებები ითვალისწინებენ, რომ მეცხრე ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები გამოუშვებენ ათობით მილიონი მანეთის პროდუქციას, მეჩაიეები გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდიან 16 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს, ხოლო მეციტრუსეები ხუთწლიან დავალებას სამ წელიწადში შეასრულებენ.

აქტივის კრებაზე ისიც ითქვა, რომ მშრომელთა კოლექტივებში ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩადგება სოციალისტური შეჯიბრება. წელს განვლილ 9 თვეში უკვე მიღწეულია ზოგიერთი წარმატებანი. აფარის მრეწველობის მუშაკებმა გეგმის გადამეტებით უკვე გაასაღეს ცხრა მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, ხოლო მეჩაიეებმა წლიური გეგმის გადამეტებით 3 ათასი ტონა ჩაის ხელდლეული დაამზადეს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუცია.

სამხრეთ ოსეთი

ცხინვალი. („კომუნისტის“ კორ.). სამხრეთ ოსეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დღის წესრიგშიც განსაზღვრულად იდგა ასეთი საკითხი: ოლქის პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ შესრულების საქმეში.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჭუსოევი.

გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. გაზაევმა, პარტიის ცხინვალის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. თადტაევმა, ცხინვალის ავტომუხლების სარემონტო ქარხნის დირექტორმა მ. ბარგიევმა, კვაისის მაღაროთასამართველოს მაღაროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კარმაზოვმა, სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ რ. ცხოვრებოევმა, ზნაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჯიოევმა, ცხინვალის № 9 სამკერვალო ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ზ. ჯიგკაევამ, პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარგიევმა, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის გუროამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ჩიხლაძემ, ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოს მეურნეობის მეკვლახემ ა. გვრიტიშვილმა.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა მოიყვანეს ფაქტები იმ ერთსულოვანი მოწონებისა, რაც ცალკეულ საწარმოებსა და მეურნეობებში, ოლქის ყველა მშრომელთა კოლექტივებში გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. აქტივის კრებაზე ისიც ითქვა, თუ რა ალმავლობით შრომობენ ახლა ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სასახელო მაჩვენებლებით დასამთავრებლად, როგორ აჩაღებენ სულ უფრო ფართოდ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ამასთან ერთად, ოლქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კოლმეურნეობის ორგანოების ყურადღება გამახვილებულ იქნა იმაზე, რომ დროულად აღიკვეთოს ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში, დროულად გამოსწორებულ იქნას ყველა ის ნაკლი, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში არის აღნიშნული.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

მეცადინეობა დაიწყო

სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა

სოხუმი, 7 ოქტომბერი. (საკადრისის სპეც. კორ.). ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურ საკითხებში საერთო იდეური პოზიციების შემუშავება — ეს ის ძირითადი ამოცანა, რომლითაც ხელმძღვანელობენ სოხუმის საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფები თავიანთი მეცადინეობის დროს. სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბდა სკოლის სამი ძირითადი თემის შესაბამისად, როგორიც არის „თანამედროვე ანტიკომუნისტის თეორიული „კონცეფციები“, „ანტიკომუნიზმი, რევიზიონიზმი, სოციალ-დემოკრატიზმი“, „ახალგაზრდობა და თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა“.

პირველი ჯგუფის ამოცანაა თანამედროვე ანტიკომუნიზმის იმ თეორიებისა და დოქტრინების კრიტიკული ანალიზი, რომელთა ეგზისტენციალისტური მოძღვრება საზოგადოებისა და საზოგადებრივი პროგრესის შესახებ. პირველ ჯგუფში მუშაობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის ჯამგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. მშვენიერაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განაყოფილების ჯამგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. თომსონი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ტ. იარშევსკი და სხვები.

მეორე ჯგუფი მიზნად ისახავს რევიზიონიზმისა და მემარჯვენე სოციალ-ოპორტუნიზმის ცრუთეორიული კონცეფციების. მათი ნაციონალისტური ტენდენციების კრიტიკას, რომლებიც ანტისაბჭოურობის, ანტიმარქსისტულ ფორმას იღებენ და ამ მხრივ უკავშირდებიან ანტიკომუნისტების ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ დოქტრინებს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ჯგუფის შემადგენლობაში არიან ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ბაგრამოვი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ს. ეფიროვი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პოლიტეკნიკური სკოლის პროორექტორი ლ. ვრზალი და სხვები.

მესამე ჯგუფის ამოცანაა კრიტიკულად განიხილოს თანამედროვე ახალგაზრდული მიმდინარეობების იდეურ სულისჩამდგმელთა სხვადასხვა „თეორიული“ კონცეფცია, გაანალიზოს მემარცხენე რადიკალების, ახალი „მემარცხენეობისა“ და სხვა წვრილბურჟუაზიული ჯგუფების პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზები. სოხუმის სკოლაში ამ პრობლემებს განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ქვასოვა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ბალოგი და სხვები.

სოციალისტური ქვეყნების იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ფორუმი მუშაობას განაგრძობს.

ამხანაგური სასამართლოების საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი

ორ დღეს მიმდინარეობდა თბილისში რესპუბლიკის ამხანაგური სასამართლოების საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი, რომელსაც საქართველოს პროფსაბჭომ მოიწვია. მიუძღოდა მონაწილეობა მოისმინეს მოხსენებანი: საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ნ. ვასაძისა — ამხანაგური სასამართლოების საბჭოების ამოცანების შესახებ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ვ. მისხორაძისა — ამხანაგურ სასამართლოებთან სახალხო სასამართლოების კავშირის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. შადურისა — დამნაშავეობისა და მასთან ბრძოლაში ამხანაგური სასამართლოების როლის შესახებ. საქართველოს სსრ იმატლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თ. შავგულაძისა — მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლების საქმეში და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში ამხანაგური სასამართლოების როლი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ უამბო შეკრებილთ, თუ როგორ იყენებენ საწარმოებში ამხანაგურ სასამართლოებს შრომისა და საწარმოო დისციპლინის ამაღლებისათვის. შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოებთან ამხანაგური სასამართლოების კავშირურთიერთობაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსმა ა. შუშანაშვილმა. ლექციას „ამხანაგური სასამართლოების . უფლება-მოვალეობებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ“ წაიკითხა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამართველოს უფროსმა ს. ჯაფარიძემ.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. კარანაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ნაიდენოვი. (საქდესი).

კარგი დასაწყისი

ტრადიციული სასწავლო წლის დაწყება პარტიული განათლების სისტემაში დიდი მოვლენაა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. პოლიტიკური განათლების ყველა რგოლი ჩვენს რაიონში გულმოდგინედ დავეკომპლექტეთ. პოლიტიკური განათლების თვალური ფიგურა პროპაგანდისტია. მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა პროპაგანდისტთა შერჩევისა და მათი გადამზადებისათვის. უკანასკნელ ხანებში 100-მდე პროპაგანდისტმა გაიარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი გადასამზადებელი კურსები. სულ პარტიული სწავლების დიდნინვნელოვან უბანზე 350 პროპაგანდისტი მუშაობს.

წლეულს პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტებისა და მასალების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში მისი შემოქმედებითი წვლილის გათვალისწინებით განახლდა სასწავლო პროგრამები და გეგმები. მოვიმარაგეთ სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა პარტიული განათლების სისტემისათვის.

ასე მომზადებული შეუდგენ ახალ სასწავლო წელს პარტიის XXIV ყრილობის მასალების, ლენინის თეორიული მეკვიდრეობის შესწავლას ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში. პოლიტიკური განათლების ყველა რგოლი ჩვენს რაიონში გულმოდგინედ დავეკომპლექტეთ. პოლიტიკური განათლების თვალური ფიგურა პროპაგანდისტია. მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა პროპაგანდისტთა შერჩევისა და მათი გადამზადებისათვის. უკანასკნელ ხანებში 100-მდე პროპაგანდისტმა გაიარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი გადასამზადებელი კურსები. სულ პარტიული სწავლების დიდნინვნელოვან უბანზე 350 პროპაგანდისტი მუშაობს.

წლეულს პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტებისა და მასალების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში მისი შემოქმედებითი წვლილის გათვალისწინებით განახლდა სასწავლო პროგრამები და გეგმები. მოვიმარაგეთ სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა პარტიული განათლების სისტემისათვის.

ასე მომზადებული შეუდგენ ახალ სასწავლო წელს პარტიის XXIV ყრილობის მასალების, ლენინის თეორიული მეკვიდრეობის შესწავლას ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში. პოლიტიკური განათლების ყველა რგოლი ჩაიბა 4.900-მდე კაცი. პირველი მეცადინეობანი უკვე გაიმართა 75 დაწყებითს, 64 მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში და 104 თეორიულ-პრობლემურ სემინარში.

წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ზეგნზე დამუშავდებლად მოპუშავეთა რაოდენობა. ამ ძირითადი მეთოდით თეორიული ცოდნის დონეს აიმაღლებს 1.250 კაცი; მათ დასახმარებლად შეკმენით 95 საკონსულტაციო ჯგუფი.

კომუნისტების პოლიტიკურ განათლებაში მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ ფრიად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიის XXIV ყრილობის მასალების შესწავლას, ხელმძღვანელი კადრების, აგრეთვე მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკურ განათლებას შექმნილია და მუშაობა დაიწყო პარტიულ-სამეურნეო აქტივის რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა.

მინდვრის მშრომელებმა ოთისმანეს ლექცია სამოქალაქო თავდაცვის შესახებ. შემდეგ გაიმართა კონცერტი. მშრომელთა წინაშე მხატვრული კითხვით, მუსიკალური ფილეტონებით, სიმღერებით და სკეტჩებით გამოვიდნენ ვ. კვესელაძე (აგიტმხატვრული ბრიგადის ხელმძღვანელი), ნ. იაძე, ა. ქიმერიძე, რ. დათიკაშვილი, თ. კუკაძე, რ. სისაური.

შ. მესხი.

□

თელავი. სოფელ ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით აშენება ორსართულიანი ბაკა-ბალი 120 ბავშვისათვის. იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.

გ. ციხისთავი.

□

ქედა. ოკაბასნელი ხანს დაბა, ქედაში ამოშენდა რამდენიმე საწარმო, მათ შორის ჩაის თაბრიკა, რძის ქარხანა, მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალი.

დაბას არ ჰყოფნიდა სასმელი წყალი. ახლა ბოლოს ყოველთ მთის ანკარა წყარო. ამ სამუშაოსათვის გამართულ ტრადიციულ შაბათობაზე 150-ზე მეტი მოშა-მოსამსახურე გამოვიდა.

მ. მახარაძე.

□

ჭიათურა. ამას წინათ ჭიათურის სტამბის კოლექტივი მისტიკას ესტუმრა. ექსკურსანტები დიდად კმაყოფილი დარჩნენ მისტიკის უძველესი მუზეუმისა და ადრინდელი ხანის კოშკურების დათვალიერებით.

შემდეგ ექსკურსანტებმა დათვალიერეს ენგურჰესის მშენებლობა.

ჯ. კეჩეჩიდი.

სურათზე: „თბილგვირაბმშენის“ № 218 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის პროპაგანდისტი ი. როინიშვილი (მარჯვნიდან მესამე) მეტეხის საავტომობილო გადასარბენი გვირაბის მშენებლებთან, რომლებიც პოლიტეკონომიას სწავლობენ, ატარებს პირველ მეცადინეობას.

ფოტო შ. მენგბიურისა.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

ახალციხე. აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ფერხისა და მუგარეთის აგროუბნების მშრომელებს, რომლებიც ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლის აღებაზე მუშაობდნენ, მინდვრად ესტუმრა რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა.

მინდვრის მშრომელებმა ოთისმანეს ლექცია სამოქალაქო თავდაცვის შესახებ. შემდეგ გაიმართა კონცერტი. მშრომელთა წინაშე მხატვრული კითხვით, მუსიკალური ფილეტონებით, სიმღერებით და სკეტჩებით გამოვიდნენ ვ. კვესელაძე (აგიტმხატვრული ბრიგადის ხელმძღვანელი), ნ. იაძე, ა. ქიმერიძე, რ. დათიკაშვილი, თ. კუკაძე, რ. სისაური.

შ. მესხი.

□

თელავი. სოფელ ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით აშენება ორსართულიანი ბაკა-ბალი 120 ბავშვისათვის. იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.

გ. ციხისთავი.

□

ქედა. ოკაბასნელი ხანს დაბა, ქედაში ამოშენდა რამდენიმე საწარმო, მათ შორის ჩაის თაბრიკა, რძის ქარხანა, მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალი.

დაბას არ ჰყოფნიდა სასმელი წყალი. ახლა ბოლოს ყოველთ მთის ანკარა წყარო. ამ სამუშაოსათვის გამართულ ტრადიციულ შაბათობაზე 150-ზე მეტი მოშა-მოსამსახურე გამოვიდა.

მ. მახარაძე.

□

ჭიათურა. ამას წინათ ჭიათურის სტამბის კოლექტივი მისტიკას ესტუმრა. ექსკურსანტები დიდად კმაყოფილი დარჩნენ მისტიკის უძველესი მუზეუმისა და ადრინდელი ხანის კოშკურების დათვალიერებით.

შემდეგ ექსკურსანტებმა დათვალიერეს ენგურჰესის მშენებლობა.

ჯ. კეჩეჩიდი.

პირველი ჩრდილი

ახალციხის რაიონში მეცადინეობა პარტიულ-სამეურნეო აქტივის ... შეუდგა 79 დაწყებითი ... ქსოზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა, 93 თეორიული სემინარი, 9 სახალხო უნივერსიტეტი, 6 კომუნისტური შრომის სკოლა. მათში გაერთიანებულია 4.500-ზე მეტი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი. თითქმის ყველგან ორგანიზებულად ჩაიარა პირველმა მეცადინეობამ.

სოფელ ვალეს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან შექმნილი დაწყებითი პოლიტსკოლის მეცადინეობაზე მოვიდა 24-ვე მსმენელი. ორგანიზებულად მოეწყო ქალაქ ვალეს პირველი საშუალო სკოლის პარტორგანიზაციასთან მოქმედი კომუნისტური აღზრდის საკითხების შემსწავლელი სემინარის მეცადინეობა. სემინარის ხელმძღვანელი ანტონ ხითარიშვილი პირველი მეცადინეობისათვის სგანგებოდ მომზადებულა. მის აუდიტორიაში აღმოჩნდა იმაზე მეტი მსმენელი, ვიდრე სიცოცხლეა. ასეთივე ორგანიზებულობა იგრძნობოდა ამავე საშუალო სკოლასთან არსებულ მშობელთა უნივერსიტეტის პირველ მეცადინეობაზე (რექტორი მ. ჟუჟუნაძე). 90 მსმენელიდან პირველ მეცადინეობაზე მოვიდა 82 მსმენელი (საპატიო მიზეზების გამო მეცადინეობას აკლდა 8 მსმენელი).

პირველმა მეცადინეობამ კარგად ჩაიარა აგრეთვე ვალეში კავკასიის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის, ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 4 შახტის, აწყურის საბჭოთა მეურნეობის, ახალციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის, ანის, ხეოთის, მუსხის კოლმეურნეობების პირველად პარტორგანიზაციებთან შექმნილ პოლიტსკოლებსა და — თეორიულ სემინარებში, სახალხო უნივერსიტეტებში.

მაგრამ ყველგან როდი იყვნენ დაზღვეულნი ნაკლოვანებებისაგან. ქალაქ ვალეს მუშათა მომარაგების პირველადს პარტორგანიზაციასთან შექმნილ პოლიტეკონომიის შემსწავლელი სემინარის მეცადინეობაზე (ხელმძღვანელი პ. მამოკაშვილი) ესწრებოდა მხოლოდ 7 მსმენელი ნაცვლად 12-ისა. ქალაქ ვალეს საავადმყოფოსთან. (მიდასანნაწილთან) შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის (პროპაგანდისტი ნ. ჩიტაძე) პირველი მეცადინეობა დაიწყო დღის 3 საათზე და დამთავრდა სულ რაღაც ნახევარ საათში, მაშინ როცა მეცადინეობისათვის განკუთვნილი იყო ორი საათი. მეცადინეობაზე არ მოვიდა 11 მსმენელი.

სოფელ ვალეს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან მუშაობს სკკპ ისტორიის შემსწავლელი სემინარი. პირველ მეცადინეობაზე იგრძნობოდა, რომ პროპაგანდისტი ვ. მანკელიშვილი მოუმზადებელი იყო. მის მიერ ჩატარებულ პირველ მეცადინეობას ბევრი ხარვეზი ჰქონდა. თემის ირგვლივ მისი საუბარი იყო სუსტი და არაფრის მთქმელი, ამიტომ ვერ დაინტერესა მსმენელები.

პარტიის ახალციხის რაიკომმა ამთავითვე უნდა გადახედოს პროპაგანდისტების მომზადების დონეს და ვისაც სჭირდება, აღმოუჩინოს სათანადო დახმარება.

შ. მაისურაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ცხოვრებასთან კავშირში

წითელწყაროს. (საკ. კორ.). სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი პოლიტიკური განათლების სისტემაში სამასზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელია გაერთიანებული. ისინი პირველ ოქტომბერს თითქმის უკლებლივ გამოცხადდნენ თავიანთ საშეკადინო ოთახებში და დიდი ინტერესით შეუდგნენ მუშაობას.

პროგრამით გათვალისწინებული მასალების გადაციმამდე პროპაგანდისტები ე. ნატრიშვილი, მ. მაძღარაშვილი, ნ. ცაბაშვილი, მ. ნატრიშვილი მსმენელებს მოკლედ ესაუბრნენ მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, გააცნეს ახალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო პირველი მეცადინეობა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარში, გამოცდილმა პროპაგანდისტმა ვ. სიფრაშვილმა გარკვევით და გასაგებად ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ეზები. გააცნო რა მსმენელებს წლიური სამუშაო გეგმა და სასემინარო თემები, პროპაგანდისტმა ვ. სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა მათგანი განხილული იქნება მსმენელთა ფართო მონაწილეობით, საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე

წყალთა რესურსების მარეგულირებელი კოდექსი

წყალს, როგორც სასიცოცხლო ფაქტორს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრებასთან.

ძველთაგანვე საქართველოში წყლითა და წყალთა რესურსებით სარგებლობის უფლება საყურადღებო იყო კანონმდებლობის. თვალსაზრისითაც. ვახტანგ VI „დასტურლამალის“ რამდენიმე მუხლი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით ეხება საწყლო ურთიერთობის საკითხს. „ქვეყანაზე ეს სამი რამ არ დაეჭირების კაცსა .და ხელმწიფეს, ეს არის: წყალი, შეშა და ბალახი“.

კონსტიტუციით სსრ კავშირის ტერიტორიაზე ბუნებრივ კალაპოტებში, წყალსატევებში, ხელოვნურ ნაგებობებსა და მიწის წიაღში არსებული წყლები წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებას — საერთო სახალხო კუთვნილებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ წყალი, როგორც სახელმწიფო საკუთრების უფლების ობიექტი, ამოღებულია (გამოთიშულია) სამოქალაქო ბრუნვიდან, არ წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის საგანს და მისი იჯარით გაცემა ან აღება სასტიკად აკრძალება, კანონით დაშვებულია მხოლოდ წყალსარგებლობის უფლება, რომელიც შეიძლება შეინაჩოთ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს.

1968 წლის მიწის კანონმდებლობის საფუძვლებით სახელმწიფო წყლის მიწების ცალკე კატეგორიად გამოყოფა დროული და აუცილებელი იყო. ამ კატეგორიის მიწებს მიეკუთვნება ის მიწები, რომლებიც დაკავებული აქვს წყალსაცავებს (მდინარეებს, ტბებს, წყალსატევებს, არხებს, მ

მსოფლიო დღეს

კარიზი

დიდი მნიშვნელობის მოვლენა

7 ოქტომბერი. (საკდესი). „სოფრანგეთის კომუნისტური პარტია, როგორც მეტად დიდი მნიშვნელობის მოვლენას, მიესალმება საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მომავალ ვიზიტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით“, — ნათქვამია დღეს გაზეთ „ლუმანიტის“ მიერ გამოქვეყნებულ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

საბჭოთა კავშირი ნათქვამია განცხადებაში, პირველი სოციალისტური ქვეყანაა, რომელმაც შეიარაღების შემცირების მწვავე საკითხებს, განაგრძო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა. ჩვენ საგანგებოდ ვუჭერთ მხარს საბჭოთა წინადადებას განიარაღების საკითხებზე მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ. ჩვენ ვემხრობით სრულიად ევროპის თანმხრის მოწვევას უშიშროების საკითხებზე, შეთანხმების მიღწევას შეიარაღების შემცირების ღონისძიებათა შესახებ, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში.

საბჭოთა კავშირი ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და უშიშროების მთავარი გარანტიაა. ხაზი გაუსვა ლ. სვობოდამ. საბჭოთა კავშირთან დაუცხრომელი და სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებით განვითარების, საერთოდ ჩვენი საზოგადოების თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარია.

კრაკოვ

ლ. სვობოდას გამოსვლა

7 ოქტომბერი. (საკდესი). „ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მთელი მისი მუშაობის აზრია ღონისძიებები, რომელთა მიზანია შრომელთა ცხოვრების გაუმჯობესება. ჩვენი საშშობლოს შშიდობიანი განვითარება. ამიტომ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის“.

ეს განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, არმიის გენერალმა ლ. სვობოდამ პრაღის კრემლში, ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელობის ერთობლივ ბანკეტზე, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობისა და მთავრობის დელეგაციის მონაწილეობით.

ტოასტებზე ამბობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი და ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირის ინიციატივას, რომელმაც შემოიტანა წინადადება ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც განიხილავს ატომური შეიარაღების შემცირების მწვავე საკითხებს, განაგრძო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა. ჩვენ საგანგებოდ ვუჭერთ მხარს საბჭოთა წინადადებას განიარაღების საკითხებზე მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ. ჩვენ ვემხრობით სრულიად ევროპის თანმხრის მოწვევას უშიშროების საკითხებზე, შეთანხმების მიღწევას შეიარაღების შემცირების ღონისძიებათა შესახებ, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში.

საბჭოთა კავშირი ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და უშიშროების მთავარი გარანტიაა. ხაზი გაუსვა ლ. სვობოდამ. საბჭოთა კავშირთან დაუცხრომელი და სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებით განვითარების, საერთოდ ჩვენი საზოგადოების თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარია.

ინდოჩინეთის ფრონტებზე

პარტიზანები საგრძოლო პოზიციებზე

ფოტო ვია-საკდესისა.

საზეიმო სხდომა ბერლინში

ბერლინი. 7 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 22-ე წლისთავის გამო გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვიეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ, ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ.

სხდომას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დამსწრენი გულთბილად მიესალმნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, აგრეთვე მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საზოგადოების დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ს. გ. ლაპტინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 22-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ზინდერმანმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა პ. ე. შელესტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწარმოელთა დიდი მიღწევები საბჭოთა ხალხისათვის“. საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმება „არსებითად დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის გამო თათბირის გამართვის გზაზე, რომელის მოწვევა, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, ჩვენ ისევე გვსურს, როგორც თქვენს მთავრობას“.

ინდოჩინეთის ფრონტებზე

ეგვიპტე ომვიდობისათვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესიაზე

ნიუ-იორკი, 7. ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი. მან მოიყვანა ისრაელის განუწყვეტელ აგრესიულ მოქმედებათა გრძელი ნუსხა, მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ისრაელის მმართველებს არ სურთ მშვიდობიანი მოწესრიგება, რომ ისინი ისწრაფვიან განაგრძონ აგრესიის და „ექსპანსიის პოლიტიკა. სწორედ ისრაელის მისწრაფება ტერიტორიული ექსპანსიისადმი მთავარი დაბრკოლებაა. უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განხორციელების გზაზე და ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში.

ეგვიპტის ხალხი, განაგრძო შემდეგ რიადმა, არასოდეს არ მოიხრის ქედს ისრაელის ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა წინაშე. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაათავისუფლოს ყოველი მტკაველი ტერიტორია, რომელიც ოკუპირებული აქვს ისრაელს 1967 წლის ივნისის აგრესიის შედეგად.

რიადმა ხაზი გაუსვა, რომ ვერ შეძლო რა თავს მოეხვია არაბული ქვეყნებისათვის კაპიტულაცია, ისრაელი ახლა ცდილობს მიაღწიოს ნაწილობრივ შეთანხმებებს, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ მას განაგრძოს ოკუპაცია და შეინარჩუნოს სტატუს-კვო. რიადმა გააკრიტიკა ეგრეთ წოდებული დროებითი მოწესრიგება, რომელსაც ახლა თავს ახვევენ ეგვიპტეს შეერთებული შტატების მხარდაჭერით. და რომელიც შეეხება სუეცის არხის გახსნას ნაოსნობისათვის. ისრაელს, თქვა მან, სურს, რომ ეგვიპტემ სული მოაწეროს დროებით შეთანხმებას, რომელიც ცნობდა არაბული ტერიტორიების ოკუპაციის განგრძობას და შენიღბავდა მას საერთაშორისო გაერთიანების ავტორიტეტით. თუ იქნება ნამდვილად ესწრაფვის მტკიცე მშვიდობას, მან უნდა შეასრულოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია და დადებითად გამოხმაუროს იარინგის მემორანდუმს, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა პირველი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ რეზოლუციის შესასრულებლად, განაცხადა რიადმა.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა საძრახისი როლი შეერთებული შტატებისა, რომელიც სიტყვით მხარს უჭერს მშვიდობიან მოწესრიგებას, ხოლო საქმით სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას უწევს ისრაელს. ამერიკის მხარდაჭერა, თქვა მან, საშუალებას აძლევს ისრაელს განაგრძოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ჩაფუშვის პოლიტიკა, განაგრძოს აგრესია და უფუნქციოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი მიესალმა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ინიციატივას, რომელმაც შექმნა კომისია აფრიკის ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა შემადგენლობით, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით. რიადმა განაცხადა, რომ ეგვიპტე არ მოითხოვს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის პირველ რიგში განხილვას გენერალურ ასამბლეაზე, რადგან სურს დაელოდოს კომისიის საქმიანობის შედეგებს.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მთლიანად შესრულებისა და ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის არის ორი გზა, განაცხადა დასასრულ რიადმა. აქედან პირველია პრეზიდენტ სადათის ინიციატივის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სუეცის არხის გახსნას, როგორც პირველ ეტაპს კონფლიქტის ლიკვიდაციის გზაზე იმ პირობით, რომ ისრაელის ჯარებს მთლიანად გაიყვანენ ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან და დაუსდება ცეცხლის შეწყვეტის შეზღუდული პერიოდი, რომლის დროს იარინგი დაადგენს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ყველა დებულების შესრულების ვადებს; მეორე გზაა ისრაელის თანხმობა შეუდგეს მშვიდობიანი მოწესრიგების შემუშავებას იარინგის 1971 წლის 8 თებერვლის მემორანდუმის შესაბამისად, რომელზეც ეგვიპტემ დიდი ხანია დადებითი პასუხი გასცა. ეს შესაძლებელს გახდის განახლდეს მისია იარინგისა, რომელსაც მე მზადა ვარ ყოველ დროს შევხვდე იმ წინადადებათა შესრულების გზების განსახილველად, რომელსაც მემორანდუმი შეიცავს, აღნიშნა რიადმა.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა აგრეთვე, რომ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა შეიმუშაოს უშიშროების საბჭომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფის სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც შექმნიდნენ ჯარანტიას აგრესიის განსაკუთრებული წინააღმდეგ. ასეთი ღონისძიებები, მისი აზრით, უნდა ითვალისწინებდნენ დემილიტარიზაციული ზონების შექმნას თანაბარ მანძილზე დაზავების ხაზის ორივე მხარეს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ძალების შექმნას მშვიდობის დაცვისათვის თვალყურის სადევნელად.

ურთიერთგაგება, თანხმობა

პარიზი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის ელჩმა საფრანგეთში პ. ა. აბრასიმოვმა რწმუნების სიგელები გადასცა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟორჟ პომპიდუს.

სიგელების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე, რომელიც ელისეს სასახლეში გაიმართა, პ. ა. აბრასიმოვმა წარმოთქვა სიტყვა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი საფრანგეთში „ადასტურებს იმ მაღალ დონეს, რომელსაც მიაღწია ორი ქვეყნის ურთიერთგაგებამ და თანხმობამ“.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა კმაყოფილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტის გამო და განაცხადა, რომ დიდი ინტერესით მოელის მომავალ მოლაპარაკებას საბჭოთა სტუმართან.

ჟ. პომპიდუ გამოთქვა რწმენა, რომ ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის შესახებ დიდი მნიშვნელობა ექნება „ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთგაგების; გაუმჯობესებისათვის“. საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმება „არსებითად დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის გამო თათბირის გამართვის გზაზე, რომლის მოწვევა, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, ჩვენ ისევე გვსურს, როგორც თქვენს მთავრობას“.

ნარკომანები რაკეტის ჯულფთან

უცხოელი ჯუბლიცისტები „კომუნისტის“ ფურცლებზე

ოცა მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა, რომ ვიეტნამში მყოფი ამერიკელთა არმიის ჯარისკაცებს შორის ფართოდ გავრცელდა ნარკომანია, ბევრნი თავის თავს აძლევდნენ კითხვას: „როგორ არის საქმე ნარკოტიკების გავრცელების მხრივ ამერიკის სტრატეგიულ სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში?“ და ეს კითხვა რიტორიკული როდია. საქმე ის არის, რომ ამერიკის სტრატეგიულ სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ქვეითი არმიისაგან განსხვავებით, „კონტროლქვეშ“ აქვთ ატომური იარაღი. ამ გვარეობის ჯარების სამხედრო მომსახურეებს როგორც პირდაპირი, ისე ფიგურალური აზრით თითი უდევთ ატომის და წყალბადის მუხტებიანი რაკეტების ასამოშავებელი მოწყობილობის ღილაკებზე.

განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებში ნარკოტიკებით ფართოდ გატაცების შესახებ პირველი ეჭვი ინგლისელებს აღეძრათ მაშინ, როცა ცნობილი გახდა, რომ იმ ამერიკელ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შორის, რომლებიც „პოლარისის“ რაკეტებიან ამერიკულ წყალქვეშა ნავებს უწევენ მომსახურებას შოტლანდიის დაბა ჰოლი-ლოჩში, ბევრი „პოტ სმოკერია“. ესე იგი მარიხუანას ეწევა. „თუ ისინი მარიხუანას თვით ბაზაში ეწევიან, — წერდნენ ინგლისური გაზეთები, — რა შეაკავებს მათ ამ ეპიდემიისაგან იმ მომენტში, როცა ისინი ლაშქრობაში არიან ანდა წყალქვეშა ნავში რაკეტებს ტვირთავენ?“ ასეთივე ეჭვი დაებადათ იმ მფრინავთა მიმართაც, რომლებიც ინგლისის ტერიტორიაზე უფრენენ მომსახურებას სამხედრო ბაზებს. ყოველივე იმის შემდეგ, რაც გამოირკვა ვიეტნამში, ნათელი გახდა: ამერიკის სახმელეთო არმიის, სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის არცერთი ქვეგანყოფი არ არის გარანტირებული იმ საშინელი მანკისაგან, რომელიც მარტო ვიეტნამში 30 ათასზე მეტ კაცს მოსდებია, — ნარკომანიისაგან.

ამას წინათ ამერიკის პრესაში გამოჩნდა სენსაციური ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტსა და საჰაერო ძალებში ნარკოტიკების ხმარების შესახებ. პირველმა ეს გაამჟღავნა ტურნალისტმა ჭალმა ფლორა ლუისმა, რომელმაც დაწერა საშინელი ამბავი ნარკომანიაზე იმ მატროსებს შორის, რომლებიც ლოპის ბაზაში არსებული მდგომარეობის გამოსაკვლევად.

ამერიკელ ჟურნალისტ ფლორა ლუისს კომისიის მასალების შესწავლის შემდეგ ასეთი დასკვნამდე მივიდა: შექმნილი წესების დროს ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში ნარკომანს სრული შესაძლებლობა აქვს თითი დაიჭიროს ატომური იარაღის სასტარტო ღილაკს. უფრო მეტიც, ეგი იუწყება, რომ ერთ-ერთი წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის ნარკომანებს შორის შემდგარა საუბარი, რომლის დროსაც მეზღვაურებმა, მარიდნენ, რომ მეზღვაურები ნარკოტიკებით თავს იწამლავდნენ მხოლოდ ნაპირზე. მაგრამ ერთ-ერთმა მატროსმა, რომელიც შემდეგ ვიეტნამში გაგზავნეს, ილაპარაკა, თუ როგორ ეწეოდნენ ისინი ჰაშიშს, როცა წყალქვეშა ნავი ზღვაში იყო.

მეტად თუ ნაკლებად მსგავსი ვითარება ამერიკის თითქმის ყოველ სამხედრო გემზე, რომელსაც ბაზა ევროპაში აქვს. ფლორა ლუისი წერს ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდა ესპანეთში როტას ბაზის მიწურილ ერთ-ერთ ხომალდზე — „ენტერპრაიზზე“. ეკიპაჟის ერთ-ერთი მეზღვაური ვინმე რობერტ სიმსი ქალაქ დალასიდან (ტეხასის შტატი) ადგილობრივი პოლიციამ დააპატიმრა ჰაშიშის არალეგალურად შეტანისათვის.

ლუისს მოჰყავს აგრეთვე ჩვენება ნარკოტიკებთან მებრძოლი სპეციალური აგენტებისა, რომლებმაც დაატყვევეს კალიფორნიაში ამერიკის სტრატეგიული სამხედრო-საჰაერო ძალების რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე. მათი ჩვენება მოწმობს იმას, რომ ამერიკის არმიაში ნარკომანიასთან დაკავშირებულ თვითეულ გახსნილ საქმეზე არსებობს, შესაძლოა, ასობით სხვა საქმე, რომლებზეც არასოდეს არაფერი არ გახდება ცნობილი. ადმირალი მეკი, რომელიც სათავეში უდგას არმიასა და ფლოტში ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციალურ კომისიებს, იძულებული გახდა ეღიარებინა შემდეგი: „ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო სინამდვილეში ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს, რამდენად ბევრ ნარკოტიკებს ხმარობენ არმიაში, ავიაციასა და ფლოტში... რამდენმე გამოძიებული საქმე მხოლოდ წვეთია ნარკომანიის უდიდეს ოკეანეში, რომელმაც წალეკა ამერიკის არმია“.

ჯეიმს ოლდრიჯი.
ინგლისელი მწერალი.

ნარკომანებს

ბაღდადი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ერაყის გაზეთი „ათ-თალია“ გმობს ინგლისის ხელისუფლებს, რომლებმაც გაიჩაღეს ისტერიული ანტისაბჭოთა კამპანია.

ამ კამპანიის საშუალებით, აღნიშნავს გაზეთი, ლონდონი ცდილობს მსოფლიო საზოგადოებრიობას დაუმტკიცოს თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა არაბულ ქვეყნებში.

„სულ ორი თვის წინათ, — წერს „ათ-თალია“, — ინგლისმა პროვოკაციულად მოაწყო შეთქმულება ერაყის მთავრობის წინააღმდეგ. ამ შეთქმულებაში ჩარეული იყვნენ დიპლომატიებიდ შენიღბული ინგლისელი ჯაშუშები. თუმცა ინგლისი ცდილობს ბატკნად მოგვაჩვენოს თავი, მისი იმპერიალისტური შეთქმულებანი ახლო აღმოსავლეთში ცნობილია მრავალი ათწლეულის მანძილზე“

დასასრულ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საესებით ცხადია საბჭოთა კავშირის მიმართ კონსერვატორთა მთავრობის მტრული მოქმედების აზრი: ინგლისი ცდილობს დაძაბოს საერთაშორისო ვითარება.

ბეირუთი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). „კონსერვატორთა პარტია ადგენს ცალი ომის აღორძინების ზღვაო ფლოტის არცერთი ქვეგანყოფი არ არის გარანტირებული იმ საშინელი მანკისაგან, რომელიც მარტო ვიეტნამში 30 ათასზე მეტ კაცს მოსდებია, — ნარკომანიისაგან.

ამას წინათ ამერიკის პრესაში გამოჩნდა სენსაციური ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტსა და საჰაერო ძალებში ნარკოტიკების ხმარების შესახებ. პირველმა ეს გაამჟღავნა ტურნალისტმა ჭალმა ფლორა ლუისმა, რომელმაც დაწერა საშინელი ამბავი ნარკომანიაზე იმ მატროსებს შორის, რომლებიც

ნარკომანები რაკეტის ჯულფთან

ამერიკის სამხედრო ფლოტში სტატეგიულ რაკეტებს უწევენ მომსახურებას.

ამა წლის დამდეგს, წერს იგი, იმ ქვეგანყოფის კაპრალმა, რომელიც სამსახურს ეწევა ატომური წყალქვეშა ნავებს ბაზაზე ჰოლ-ლოჩში, ითხოვა გადაეყვანათ იგი იქიდან, იმიტომ რომ დანარჩენი მეზღვაურები, რომლებიც სატრანსპორტო ხომალდ „კანიუსს“ იცავენ, მეტწილად ნარკოტიკებით გაბრუებულნი დადიან. კაპრალმა თქვა, რომ არ უნდა მათთან ერთად მსახურობდეს. მას მხილებაზე იმ ხანებში არაფერი გამოუქვეყნებიათ. მაგრამ როცა ეს ფაქტები ცნობილი გახდა ინგლისს საზოგადოებრიობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობა იძულებული გახდა დაეწინაშნა კომისია ჰოლ-ლოჩის ბაზაზე. ეს კომისია ინგლისელ ჯაშუშებს ეგონა. ეს ინციდენტი ერთ-ერთ ინგლისელ ჟურნალისტს ეგონა,

მეცნიერი, მოღვაწე

მ. კომახიძე — ქირურგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი

საბჭოთა ჯაჭვირის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგის მ. კომახიძის სახელზე მოსკოვიდან მოვიდა წოსალოგი დეკანეში. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი მ. ვოლკოვი ქართველ მეცნიერს აცნობებს და ულოცავს, რომ იგი არჩეულია ქირურგთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილ წევრად.

მ. კომახიძის სახელი ჯერჯერობით ცნობილია სამედიცინო საზოგადოებაში. მის ჯალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 20 მონოგრაფია. ამ უკანასკნელი ხანს იგი მონაწილეობდა არგენტინაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ გერმანიაში, რუმინეთში, მოსკოვსა თუ ლენინგრადში გამართულ ქირურგთა საერთაშორისო ყრილობების მუშაობაში, აგრეთვე ამ საზოგადოების მიერ მოწყობილ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ კონფერენციებში, სადაც გამოდიოდა მოსსენებებით თანამედროვე ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია მ. კომასიძეს, მიულოცა მას ასეთი დიდი დაფასება და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ორიოდე სიტყვით მოეთხრო ამ საზოგადოების როლსა და დანიშნულებაზე.

— ქირურგთა საერთაშორისო საზოგადოება უკვე კარგახანია არსებობს, — თქვა მან. — იგი თავის რიგებში აერთიანებს დედამიწის თითქმის ყველა სახელმწიფოს გამოჩენილ მეცნიერებს. საზოგადოება ეწევა მეტად დიდ და ნაყოფიერ მუშაობას მსოფლიო მასშტაბით. შემუშავებული პროგრამის მიხედვით სისტემატურად აწყობს სხვადასხვა ქვეყანაში ქირურგთა საერთაშორისო კონგრესებს.

წელს აგვისტოში ქირურგთა საერთაშორისო კონგრესი გაიმართა მოსკოვში, რომელიც მიეძღვნა ქირურგიული ინფექციისა და გულსისხლძარღვთა ქირურგიის საკითხებს, კონგრესზე ჩემი მოხსენების თემა იყო თირკმლის არტერიის სისხლძარღვების დაავადება და მისი ქირურგიული მკურნალობა.

ჩემთვის მეტად სასიხარულო და საპატიოა ქირურგთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევა, რაზედაც მინდა მადლობა გადავუხადო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრებს.

პოლონეთი — ტურიზმის ქვეყანა

ამ თემას ეძღვნება გამოფენა, რომელიც 5 ოქტომბერს გაიხსნა თბილისში, კინოთეატრ „ამირანში“. გამოფენა მოაწყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის მთავარმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს ხელშეწყობით.

ექსპოზიციის გახსნასას უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსმა ლ. ბ. ჩიბუტრდანიძემ აღნიშნა, რომ საქართველოსა და პოლონეთის კულტურული ურთიერთობა უკვე დიდი ხანია ტრადიციად გადაიქცა. საქართველო, ისევე როგორც პოლონეთი, ტურიზმის მხარეა.

პოლონეთის მოგზაურობათა ბიუროს „ორბისის“ მუდმივმა წარმომადგენელმა ზენონ მოვაკოვსკიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პოლონეთისა და სსრ კავშირს შორის ტურისტულ გაცვლას. საბჭოთა ტურისტი, თქვა მან, პოლონეთის მიწა-წყალზე ნახავს ჩვენი საერთო ისტორიის ბევრ ძეგლს, შეხვდება გულწრფელ და ერთგულ მეგობრებს.

გამოფენის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე გ. მაისურაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ქლეხტი.

პოლონური გამოფენის გახსნის გამო „ორბისის“ მუდმივმა წარმომადგენელმა დარბაზობა გამართა. (საქდესი).

სტუმრად საქართველოში

ამ დღეებში საქართველოში სტუმრად იყვნენ ავსტრიის ფირმის „შველმ-შტრაგერის“ ხელმძღვანელები ფირმის გენერალური დირექტორის ფუკერიდერის მეთაურობით.

სტუმრებმა ტექნიკის სახლში წაიკითხეს ლექცია თემაზე „ავტოგამწყობი საგზაურების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლოატაცია“. სტუმრები შეხვდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარსავთომბომარაგებისა-განაღების სამმართველოს მუშაკებს.

ავსტრიელი სტუმრები ოთხი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ საქართველოს ავტოგამწყობი საგზაურების მუშაობას, იყვნენ თელავში, მცხეთაში, ქუთაისსა და სოხუმში.

ფირმა „შველმ-შტრაგერის“ ხელმძღვანელებმა დადეს ხელშეკრულება საქართველოში ორი ავტოგამწყობი საგზურის მშენებლობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია აშენდეს 1972 წელს თბილისში.

ვ. ფიქლაური.

გ. ვაწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ფიზიოლოგი, საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **გიორგი სპირიდონის-ძე ვაწაძე.**

იგი დაიბადა 1893 წელს ქ. თბილისში სამხედრო ექიმის ოჯახში. 1916 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი სამკურნალო ფაკულტეტი. მოსკოვში გ. ვაწაძე მეიმხრო ექიმებს იმ მეცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა.

1919 წელს საქართველოში ბრუნდება და იმავე წელს შედის კომუნისტურ პარტიაში. 1920 წელს გ. ვაწაძეს ირჩევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტად, რომელსაც პროფ. ი. ბერიტაშვილი ხელმძღვანელობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს ინიშნება ჩვენი დედაქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ. 1924 წელს კი გადაჭყავთ ჯანდაცვის კომისრის მოადგილედ და ჟურორტთა სამმართველოს უფროსად. 1926 წელს გ. ვაწაძე მივლინებულ იქნა გერმანიაში ფიზიოლოგიაში სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სადაც სამი წელი დაპყო და გერმანულ ჟურნალებში გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა.

1930 წელს გ. ვაწაძე ეწვევა ბერლინსა და ვენაში, ეცნობა საქართველოში ლა ვანმრთელობის მუშაობას ექსპერიმენტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. დაარსებიდან ექვსი წლის განმავლობაში ის იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი. 1930-დან 1945 წლამდე პროფესორი გ. ვაწაძე ხანგრძლივ სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრას. იგი ითვლება საქართველოში ამ კვლევის ფიზიოლოგიის დარგში ძალიან მუშაობის წამომწყებად. გ. ვაწაძე 70-მდე მეცნიერული შრომის ავტორია.

პროფესორი გ. ვაწაძე მრავალი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას, იყო ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ რედაქტორი, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების წევრი. მონაწილეობდა ფიზიოლოგთა მრავალი ყრილობის მუშაობაში როგორც მომხსენებელი.

1956 წლიდან გარდაცვალებამდე პროფესორი გ. ვაწაძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში რადიობიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

საქართველოს სამეცნიერო და სამედიცინო საზოგადოებაში პროფესორი გ. ვაწაძე ცნობილია როგორც გულისხმიერი ადამიანი, ახალგაზრდობის მოამაგე, რითაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თავის მრავალრიცხოვან ამხანაგებსა და ალზრდილებში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი; საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება.

მეფეთა ფორუმი

□ ჩემპიონი ლაგოდეხის ნაკრძალიდან

□ „ლედის“ ოქროს მედლები

აქართველოში ოდითვე მისდევენ ადამიანის უძველეს საქმიანობას — ნადირობას. ფრინველთა და ნადირთა ხოცვა მარტო უბრალო გატაცება როდია, ნადავლი ხშირ შემთხვევაში ისტორიული და სამეცნიერო ექსპონატის ფასეულობის მქონეა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების შეჯიბრებაგამოფენის ობიექტიც ხდება.

27 აგვისტოს ბუდაპეშტმა ფართოდ გაუღო კარი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ ნადირობის მოყვარულთა, ბუნების დაცვის და ნადირობისმცოდნეობის სეციალისტებს. სამონადირეო ნადავლებთან ერთად გამოფენილი იყო ნადირობის საშუალებები ქვის ხანიდან კოსმოსის ეპოქამდე, პრიმიტიული ბუნიკიდან — უკანასკნელი სიტყვის ტექნიკურად აღჭურვილ ვინჩესტერამდე.

როგორც მკითხველებმა იციან, ამ გამოფენაზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა. ყველაზე უხვი ნადავლი მსოფლიო სამონადირეო პრიზებისა მოიპოვა ლაგოდეხის ნაკრძალის ბიოლოგ-ნადირობისმცოდნემ აკაკი პეტრიაშვილმა — ორი ოქროს მედალი — (აქედან ერთი მსოფლიოს ჩემპიონობისაა) და ერთი ვერცხლის მედალი.

ლაგოდეხელებს კარგად ახსოვთ შავგაჯრემანი ჯაბეკი, რომელიც მათ თვალწინ დახტოდა, დარბოდა, ბავშვობიდანვე შესტრფოდა ბუნებას, მზისკენ აზიდულ მხრებგაშლილ კავკასიონს, ყვავილების ხალიჩას, კლდეებიდან გადმომსკდარ ჩანჩქერებს. მაგრამ ყველაზე უფრო ნადირობა იტაცებდა. აქვე მიიღო მონადირის ნათლობა.

დღეები დღეებს მისდევდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სტუდენტ ფაკულტეტზე. გავიდნენ წლები, და ისევ მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდა, განაგრძო ჯიხვებზე ნადირობა. ეი შედეგიც. მის მიერ ორიოდე ბუნებს ნაკრძალის ტერიტორიაზე სპეციალურად მოპოვებულმა ჯიხვის რქებმა შორს ბუდაპეშტში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, მეორე წყვილმა ჯიხვის რქებმა — ვერცხლის მედალი და მგლის თავის ქალამ — ოქროს მედალი.

მსოფლიოს და უნგრეთის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვა აგრეთვე ძალების გამოფენა-კონკურსში ძუ პანტერამ „ლედიმ“. მისი პატრონი შოთა დოლიძე გამომცემლობა „განათლების“ თანამშრომელია.

მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო სამონადირეო გამოფენაზე ბუდაპეშტში, აგრეთვე ბორჯომის ტერიტორიაზე 1895 წელს მოპოვებული ირის რქები, მაგრამ სამწუხაროდ არ მოხერხდა მისი წონის დადგენა, რადგან იგი იყო თავის ფიტულთან ერთად. ეს კი ეწინააღმდეგება მსოფლიო სამონადირეო საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტს, რომლის მიხედვით სამონადირეო ნადავლი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ რქებს გამოხარშული თავის ქალით და რადგანაც ეს ირმის თავი და რქები წარმოადგენს უნიკალურ ისტორიულ ნადავლს, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობამ არ მოისურვა ფიტულის გაფუჭება.

მსოფლიოს სამონადირეო კონკურსზე ბუდაპეშტში წარმოდგენილი იყო XIX და XX საუკუნეების სამონადირეო ნადავლი (რქები, კბილები, ტყავი, ეშვები, ბეწვეული, ძვლები, ჩონჩხი, თავის ქალა), რომელზეც აღნიშნული იყო მოპოვების ადგილი, დრო და ავტორი.

ტროფეებს აფასებდა საერთაშორისო ჟიური, რომელშიც შედიოდნენ ყველა მონაწილე ქვეყნის ნადირობისცოდნის მსხვილი სპეციალისტები.

საერთაშორისო სამონადირეო საბჭოს დადგენილი სტანდარტების (წონა, ზომა) მიხედვით ნადავლი, რომელიც სცილდება ამ დადგენილ ნორმებს, პრიზების (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლების) პრეტენდენტი ხდება, მათ შორის ყველაზე დიდს კი მსოფლიოს ჩემპიონობა ენიჭება.

ბუდაპეშტის მსოფლიო სამონადირეო გამოფენა წარმოადგენს მსოფლიოში ასეთი დიდი მასშტაბით პირველად ჩატარებულ ღონისძიებას, რომელმაც გვიჩვენა თანამედროვე ეპოქაში ბუნების დაცვის აუცილებლობა.

გ. ჟიბოვილი.







სურათებზე: გამოფენის ექსპონატები ზემოდან — ირმის რქები, ნიამორის რქები, პოინტერი „ლედი“, მარჯვნივ — ჯიხვის რქები.

ფოტო ლ. ხერხულიძისა.

მშობლიური პეიზაჟები



ამბროლაურის რაიონი. შუა საუკუნეების ძეგლი — მინდა-ციხე.

ფოტო ს. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

დიად თარიღს

კონკურსი სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინეს სალიტერატურო წრეებისა და გაერთიანებების წევრთა ყოველწლიური რესპუბლიკური სალიტერატურო კონკურსი 1972 წელს მიუძღვნან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

დამტკიცებულია კონკურსის ჟიურის შემადგენლობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი. ჟიურში შედიან რესპუბლიკის პროფსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, თვალსაჩინო ქართველი მწერლები, ჟურნალისტები.

კონკურსი დახურულია. ნაწარმოებნი ჟიურის სახელზე უნდა გამოიგზავნოს სამ ცალად, დეპეზით. ცალკე კონვერტში ამავე დეპეზით უნდა იყოს აღნიშნული: ავტორის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი დაბადების წელი, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, მისამართი, აგრეთვე სალიტერატურო წრე ან გაერთიანება, რომელსაც იგი ეკუთვნის.

წინა წლებისაგან განსხვავებით, ამ კონკურსზე შეუძლიათ წარმოადგინონ აგრეთვე მრავალტირაჟიან გაზეთებში გამოქვეყნებული ნაწარმოებნი.

სალიტერატურო კონკურსზე ნაწარმოებთა წარმოდგენის უკანასკნელი ვადა 1972 წლის 10 იანვარი. საკონკურსო ნაწარმოებნი უნდა გამოიგზავნოს მისამართით: ქალაქი თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა, 19, საქართველოს პროფსაბჭო, სალიტერატურო კონკურსისათვის.



ინტერვიუ მე-17 სართულზე

ვეტროსიანი თუ ფიშერი

თავისთავად ცხადია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრესა სავსეა ცნობებით პეტროსიან-ფიშერის მატჩის შესახებ. ბუენოს-აირესში უამრავი ჟურნალისტი იმყოფება ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან.

ბევრი საყურადღებო ცნობა გამოაქვეყნა თავის უკანასკნელ ნომერში მოსკოვის ყოველკვირეულმა „64“-მა.

მატჩის წინა ხანები ფიშერმა გატარა ნიუ-იორკის მდიდრულ სასტუმრო „შერატონში“, სადაც ყოველდღიური ცხოვრება 100 დოლარი ღირს. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ გროსმაისტერი ჟურნალისტებსა და კორესპონდენტებს არ შეეწუხებინათ. როდესაც ერთი კორესპონდენტი შეეცადა ტელეფონით დაკავშირებოდა 66-ე ნომრის, მას წინასწარ დიდხანს ეკითხებოდნენ: მოისურვებს კი ფიშერი მასთან საუბარს?

კორესპონდენტმა მაინც მოახერხა გროსმაისტერის ნახვა. მისი პირველი კითხვა სწორედ ასეთი იყო: „რატომ ჩაიკეტა თავი ფიშერმა?“

— უბრალოდ, მეჩვიდმეტე სარტულზე, სადაც მე ვცხოვრობ, გარანტირებულია სრული სიმშვიდე. ეს კი, შესაძლოა, ყველაზე უფრო მთავარი ელემენტია ასეთი სერიოზული ბრძოლისათვის მოსამზადებლად. მე სამაოდ ბევრი პარტია გავარჩიე. როდესაც ციდან დედამიწაზე ჩამოსვლა მომიდგებოდა ხოლმე, მივდიოდი უახლოეს საჭადრაკო კლუბში და უბრალოდ თვალყურს ვადევნებდი იქ მოთამაშე მოჭადრაკეთა პარტიებს. ზოგიერთი მათგანი ახალგაზდა იყო, მაგრამ მე ეს ხელს არ მიშლიდა. დროდადრო ფეხბურთსაც ვთამაშობდი.

შემდეგ კორესპონდენტი შეეკითხა, როგორ გრძნობს თავს გროსმაისტერი — მომზადებულია თუ არა მატჩის წინ.

— ეს მატჩის დროს გახდება ნათელი, — თქვა ფიშერმა, — შეიძლება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურად თავს ჩინებულად ვგრძნობ. პეტროსიანი გაცილებით უფრო ძლიერი მეტოქეა, ვიდრე ტალმანოვი ან ლარსენი, ასე რომ, მის წინააღმდეგ თამაში ჩემთვის ყველაზე მძიმე იქნება. მაგრამ მე უკეთესის იმედი მაქვს.

ფიშერს გაახსენეს მის შესახებ ვინკოვიცის ტურნირის დროს ტალმანოვის, ლარსენისა და პეტროსიანის მიერ გამოთქმული აზრები. მაშინ ტალმანოვმა და ლარსენმა აშკარად დაბალი შეფასება მისცეს ფიშერის შესაძლებლობებს, პეტროსიანმა კი, პირიქით, მეტად შეაქო იგი.

— აი სწორედ ამიტომ იქნება ყველაზე უფრო ძნელი მის წინააღმდეგ თამაში, — იხუმრა ფიშერმა.

ამერიკული და აგრეთენული გაზეთების კორესპონდენტები, რომელნიც უკანასკნელ დღეებში ფიშერს შეხვდნენ, აღნიშნავენ, რომ იგი სრულიად არა ჰგავს ტალმანოვთან და ლარსენთან მოპოვებული წარმატებებისაგან თავბრუდასხვეულს. პირიქით. იგი ფრთხილობს, როდესაც ლაპარაკი პეტროსიანთან მატჩს ეხება.

იუგოსლავიის პრესაში გაიელვა ცნობამ, რომ მატჩის შედეგის მიუხედავად, ფრანსიანტერი ამირებს ბუგოსლავიაში ჩავიდეს. იგი ამირებს ხმელთაშუა ზღვის პირას ადარაკის აშენებას.

ეს-ესაა ზაგრების საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ფიშერის სარჩელზე ჟურნალ „პლავი ვეტერნიკის“ მიმართ. როგორც მკითხველებს ახსოვთ, ერთი წლის წინათ ამ ჟურნალმა გამოაქვეყნა მთელი რიგი მასალები, რომელნიც ჟურნალისტმა დმიტრიე ბელიცამ წარმოადგინა როგორც ფიშერის დღიურები. მაშინ გროსმაისტერმა განაცხადა, რომ არავითარი დამოკიდებულება ამ პუბლიკაციასთან არა ჰქონია. პირიქით, ამით მისი ავტორიტეტი შეიბღალა.

ფიშერმა ჟურნალს მოსთხოვა ფულადი კომპენსაცია 40 ათასი დინარის რაოდენობით. ზაგრების საოლქო სასამართლომ ამ საკითხზე ოთხჯერ იმსჯელა. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ადგილი ჰქონდა ფიშერის სახელის ბოროტად გამოყენებას, საავტორო უფლების შესახებ კანონის დარღვევას. ჟურნალი 10 ათასი დინარით დააჯარიმეს!

ერკო სიმაჩმა, ზაგრებელმა ადვოკატმა, რომელიც ფიშერის ინტერესებს იცავდა ამ პროცესზე, განაცხადა, რომ გროსმაისტერი კმაყოფილი არ იქნება გადაწყვეტილებით. იგი თავდაპირველად ისეთ თანხას თხოულობდა, რომელიც 40 ათას დინარს აღემატებოდა, მაგრამ ვეკილმა დაჯერა, რომ ეს არარეალურია. სწორედ ამის შემდეგ გროსმაისტერი და ვეკილი შეთანხმდნენ 40 ათას დინარზე.

ინგლისური პრესა აღნიშნავს, რომ დღემდე გამართული პრეტენდენტთა ოცივე მატჩი ეკვატორის ჩრდილოეთით მოეწყო და რაიმე ჩვეული ჰავის შესახებ არ ყოფილა. ახლა როგორ არის საქმე ამ მხრივ სამხრეთ ნახევარსფეროში?

ბუენოს-აირესში ე ი ო ბ ა, 18-20 გრადუსი. არგენტინის საჰადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა გროსმაისტერმა ჯიმარმა მონაწილეებს დიდი თეატრალური დარბაზები შესთავაზა. ერთი 5 ათას მაყურებელს იტევს, მეორე — 3 ათასს. მაგრამ თვით პეტროსიანმა და ფიშერმა, შედარებით „მოკრძალებული“ დარბაზი აირჩიეს „სან-მარტინის“ თეატრში, რომელიც ათასსუთას მაყურებელს იტევს.

მონაწილეები და მათი თანაშემწეები სასტუმრო „პრეზიდენტში“ ცხოვრობენ ოფიციალური სეკუნდანტის ედმონდსონის გარდა, რომელიც არ მონაწილეობს სადებიუტო მსჯელობაში და გადადებული პარტიების ანალიზში. ბუენოს-აირესში უკვე ჩამოვიდნენ გროსმაისტერები კეკეფანი და ბირნი.

ფინიშამდე ექვსი ნაგიჯია

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). სავონმა, რომელსაც გროსმაისტერის ნორმის შესრულებამდე ბევრი აღარაფერი უკლია, გადაწყვიტა ჭრჭერობით ყაიმებით „გავიდეს ფონს“. უმაღლეს საჭადრაკო წოდებას იგი, ეტყობა, მიიღებს, მაგრამ ძალიან ბუნდოვანია, მოუტანს თუ არა ეს ტაქტიკა ახალგაზრდა ხარკოველს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებას. ყოველ შემთხვევაში ვ. სავონი ახლა გრძნობს მისი მთავარი მეტოქის მ. ტალის ძლიერ „სუნთქვას“.

მაშ ასე, მეთხუთმეტე ტურში ვ. სავონი შავებით ყაიმზე შეუთანხმდა ვ. კარასიოვს. ახლა მ. ტალა. ლენინის გადადებული პარტიის შედეგზე იქნება დამოკიდებული დაეწევა თუ არა „რიგელი ჭადოქარი“ ვ. სავონს. ხარკოველ ოსტატს 10,5 ქულა აქვს, მ. ტალს — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

მეთხუთმეტე ტურის დანარჩენი შედეგები: ლ. შამკოვიჩმა მოუგო კ. გრიგორიანს. ამ პარტიამდე ლენინგრადელმა ჟურნალისტებმა ინტერვიუ აიღეს კარენის მამასთან, სომხეთის სახალხო პოეტ აშოტ გრაშისთან, რომელიც ესწრება შეჯიბრებას. გრაშემ განაცხადა, რომ დებიუტანტის კვალობაზე მის ვაჟს ორიგო შედეგები როდი აქვს (6,5 ქულა). ი. პლატონოვმა — მოუგო ვ. ტუმანოვს. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. კროგიუს-ა. კარპოვი და დ. ბრონშტეინ-ვ. სმისლოვი. ვ. სმისლოვი, რომელსაც 50 წელი შეუსრულდა, 9 ქულით მესამე ადგილზეა,

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოლიმპიელთა მზადება

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები ქალაქ ნიურნბერგში შეხვდა გფრ-ის ოლიმპიურ გუნდს. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1. 13 ოქტომბერს საბჭოთა ფეხბურთელები ოლიმპიურ შესარჩევ მატჩში ლვოვში შეხვდებიან ავსტრიის ნაკრებს.

დღეს ოთხი მატჩია

დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე გაიმართება „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მოსკოვში ასპარეზობა ექნებათ საპრიზო ადგილების ყველაზე რეალურ პრეტენდენტებს — დედაქალაქისა და თბილისის დინამოელებს. შეგახსენებთ, რომ ორიგე გუნდს 29-29 ქულა აქვთ 26 თამაშიდან. **მატჩის რეპორტაჟი შეგიძლიათ ნახოთ ტელეეკრანებზე 20 საათიდან და 30 წუთიდან თბილისის დროით.**

პრინციპული ბრძოლაა მოსალოდნელი ლენინგრადში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან „ზენიტი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. „ზენიტი“ სულ უფრო სცილდება „სახიფათო ზონას“, ხოლო „სპარტაკი“ უკვე ლიდერთა ჯგუფშია.

გასვლითი მატჩი ექნება ლვოვის „კარპატსაც“, რომელიც აგრეთვე ინარჩუნებს უკეთესი ადგილის დაკავების შანსებს. იგი მინსკში ეთამაშება ადგილობრივ „დინამოს“.

მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება როსტოველთათვის დღევანდელ მატჩს. ისინი ბაქოს „ნეფტჩის“ მასპინძლობენ.

ცერგიანის კლდეზე

სევასტოპოლის გზატკეცილის გასწვრივ, მიხეილ ხერგიანის სახელობის კლდეზე დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი კლდეზე ცოცვის პროგრამის მეორე სახეობაში. ქალთა შორის გაიმარჯვა ლენინგრადელმა ნინო ნოვიკოვამ. თბილისელი იულია თურმანიშვილი ვერცხლის მედალს დასჯერდა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. ვაუთა შორისაც იმარჯვა ლენინგრადელმა ვ. მარდელოვმა.

ვ. გოგლიძის მემორიალი

დაზვერვის გარეშე

გუშინ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველ ტურში გურგენიძემ ეფექტური კომბინაციით სძლია ნავაროსკის (უნგრეთი). მწვავე პოზიციაში ბედნიერსკიმ (პოლონეთი) მოფიქრებათვის განკუთვნილ დროს გადაეცილა და წაგება ჩაეთვალა უიტუმენთან (მონღოლეთი). გიორგაძემ მოუგო ნანა ალექსანდრიას. ყაიმზე შეთანხმდნენ პორტაში (უნგრეთი) და პშიბელი (ჩეხოსლოვაკია). ორი პარტია გადაიდო.

გროსმაისტერ ხოლმოვის ნაცვლად ტურნირში ითამაშებს თბილისელი ოსტატი უბილავა. მისი პარტია მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან მოგვიანებით გაიმართება.

სპორის ტურნირზე

ძალთა საკავშირო ჩემპიონატზე ლიდერი შეიცვალა. მეოთხე ტურში ლევტინმ ყაიმით დამთავრა პარტია კაკაბაძესთან, სემენოვამ მოუგო შულს და 3 ქულით სათავეში მოექცა ცხრილს. კობაიძემ გაიმარჯვა მკრტჩიანთან, ფომინა დანებდა ტიტორენკოს. ყაიმით დამთავრდა ბალაშოვა-რუბცოვას შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლევტინას 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, 2,5-2,5 ქულა — კობაიძესა და ტიტორენკოს.

ბაკურიანი

ბაკურიანი. (ჩვენ. კორ.). ბაკურიანში ბოლო ორი დღეა ბალეტის ფესტივალი ტარდება. ფესტივალზე ჩამოსულ ბალეტმეისტრებს, ბალეტმოცეკვეებს, ბალეტმასწავლებლებს, ბალეტის ისტორიკოსებს, ბალეტის ფანატიკოსებს ბაკურიანში ბალეტის ფესტივალის ფარგლებში ეჩვენებოდა ბალეტი „ბალეტ ბალეტ“ ბ. ბ. ბ.